ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია

2022 წელი, I - IV კვარტალი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					143 685.1

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დასრულდა რუსთავში იარაღის რეგისტრაციასთვის და თეორიული გამოცდისთვის საჭირო ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა რუსთავში ავტოსატრანსპორტო საშუალებების განბაჟება, ექსპორტ/რეექსპორტისათვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- ქ. რუსთავში დასრულდა იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- დასრულდა ქ. საჩხერეში და ქ. ქუთაისში იარაღის ბალისტიკასთვის საჭირო სივრცეების მოწყობა;
- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. რუსთავში მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მოსაცდელის მშენებლობის სამუშაოები;
- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. რუსთავში მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ავტომანქანებისათვის საჭირო სადგომის მოწყობის სამუშაოები;

- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. რუსთავში შენობების და გარე ტერიტორიის ადაპტირება შშმ პირებისათვის;
- ქ. რუსთავში ადმინისტრაციულ შენობაში თანამშრომლებისათვის მოეწყო სასადილო სივრცე;
- ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში დასრულდა შენობის გადახურვის საიზოლაციო სამუშაოები;
- შესყიდულ იქნა ახალი შენობებისთვის (ქ. რუსთავში) საჭირო ავეჯი;
- შესყიდულ იქნა ახალი შენობებისთვის (ქ. რუსთავში) საჭირო ტექნიკა;
- შესყიდულ იქნა რეგიონებისათვის საჭირო პრინტერები;
- შესყიდულ იქნა 13 ერთეული ტყვიის დამჭერი მოწყობილობა;
- მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის (“B” კატეგორია) შესყიდულ იქნა 17 ერთეული ავტომანქანა შესაბამისი საგამოცდო ტექნიკით;
- შესყიდულ იქნა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის (C/CE, C1, C, D1, D/DE) საჭირო ავტომანქანები შესაბამისი საგამოცდო ტექნიკით;
- შესყიდულ იქნა 2 ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატი;
- შესყიდულ იქნა 12 ერთეული ნომრის შესარჩევი თვითმომსახურების ტერმინალი;
- სააგენტოს თანამშრომლებისთვის შესყიდულ იქნა ზაფხულის და ზამთრის უნიფორმა;
- შესყიდულ იქნა რეგიონებისათვის საჭირო ავეჯი;
- განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის და სასაზღვრო პოლიციისთვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა და ხორციელდება შს სამინისტროსთვის საჭირო კომპიუტერების შესყიდვა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო ავეჯის შესყიდვა.
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო რაციების შესყიდვა.
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო ავტომანქანების შესყიდვა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო სპირტის შესყიდვა;
- განხორციელდა შს სამინისტროსათვის საჭირო ქაღალდის შესყიდვა;
- შესყიდულ იქნა შს სამინისტროსთვის საჭირო საბურავები;
- შესყიდულ იქნა შს სამინისტროსთვის საჭირო აკუმულატორები;
- თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - ,,112“-ს და სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს;

- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 580 107 მოქალაქეს და 36 919 ორგანიზაციას;
- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილები, კერძოდ: დამტკიცდა "B" და "BE"

კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების (თეორიული გამოცდა, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპი - რეალურ საგზაო მოძრაობაში პრაქტიკული გამოცდის ჩატარება) წესი და პირობები. ზემოაღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2022 წლის 25 აპრილიდან.

- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში და „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც დადგინდა საგამონაკლის წესი - 2022 წლის 20 მარტამდე, კერძოდ: მიტანის მომსახურების (ე.წ. „დელივერი სერვისი"/„საკურიერო სერვისი") სფეროში დასაქმებული პირებისთვის „A1" ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებასთან მიმართებაში;
- „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 14^1 მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც აღმოფხვრილ იქნა მანამდე არსებული ხარვეზები;
- "სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის, შენახვისა და ტარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის № 963 ბრძანებაში და "იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის № 576 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც დარეგულირდა/შეიცვალა პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმებისა და რეგისტრაციის პროცესი.
- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში და „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, დროებითი ღონისძიების გატარების აუცილებლობით,

კერძოდ: 2022 წლის 6 ივნისამდე, 18 წელს მიღწეულ იმ ფიზიკურ პირთათვის დადგინდა „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დროებით წესი;

- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით დადგინდა მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის და მსუბუქი მოტოციკლის პირველადი რეგისტრაციის გამარტივებული და მოქნილი პროცესი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ინფორმაციის/მონაცემების გაცვლის მემორანდუმი გაფორმებულ იქნა.
- შემუშავდა საბერძნეთსა და საქართველოს მთავრობებს შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და ცნობის შეთანხმების (ნოტის პროექტი) სამუშაო ვარიანტი.
- შემუშავდა და დამტკიცდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტები.
- მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ამოქმედდება 2022 წლის 14 ივლისიდან, ხოლო შიდა ტრანზიტისა და გრძელვადიან შიდა ტრანზიტის მიმართებაში ახალი რეგულაციები 2023 წლის პირველი მარტიდან.

  აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით: ე.წ. „ფასიანი ნომრების“ 7 თვიანი შენახვის ვადის ნაცვლად დაწესდება 365 დღე. ამასთან, სააგენტოში შესანახად ჩაბარებული ნომერი შეინახება ვირტუალურად და დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემა შესაძლებელი იქნება შესაბამისი საფასურის გადახდის შემდგომ, სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში. ახლებურად ჩამოყალიბდა სააგენტოს მიერ გასაცემი ცნობების ვადები და საფასურები. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო სატრანსპორტო საშუალების დათვალიერები, საექსპერტო შემოწმებისა და ცალკეული მომსახურებების საფასურებს. ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად წესდება ახალი რეგულაცია, კერძოდ: იარაღის დროებითი მოწმობით შესაძლებელი გახდება, შენახვის უფლებით რეგისტრირებული იარაღის ტირში/სასროლეთში გადატანა.
- შემუშავდა და გადაგზავნილ იქნა შსს-ში „მძღოლთა მოსამზადებელი დაწესებულებებისა და ინსტრუქტორ-მასწავლებელთა საქმიანობის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.
- დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 29 აგვისტოს №84 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის და ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენის წესისა და პირობები“, რომლითაც განისაზღვრა დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესისა და პირობების, აგრეთვე ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სააგენტოსათვის წარდგენის წესისა და პირობების და სააგენტოს მიერ მომსახურების ავტორიზებული პირისათვის გაწევის წესისა და პირობების განსაზღვრას.

- შევიდა „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში ცვლილებები, რომლითაც აისახა საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი ცვლილებები ცნობებთან მიმართებაში.
- დამტკიცდა “სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელშიც აისახება საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი ცვლილებები სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის პროცედურასთან მიმართებაში.
- შევიდა „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში ცვლილებები, რომელიც გამომდინარეობს 2022 წლის 21 ივნისის საქართველოს კანონით (დოკუმენტის №1658-VIIIმს-Xმპ) "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან. კერძოდ: ცვლილება შეეხო იარაღის დროებითი მოწმობის გაცემის სერვისს - დამატებულ იქნა მომსახურების სახე, როგორიცაა, იარაღი შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში მიტანის და შენახვის ადგილზე დაბრუნების მიზნით იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა.
- ცვლილებები შევიდა „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და

აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში, რომლითაც დარეგულირდა და შესაბამისობაში მოვიდა არსებული წესები და იმ პრაქტიკულ გამოწვევებთან, რაც გამოვლენილ იქნა 2022 წლის 25 აპრილიდან დღემდე.

- ცვლილებები შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებაში, რომლითაც განხორციელდა მცირედი სტრუქტურული ცვლილება, რამაც არ გამოიწვია შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა და არ გამოიწვია თანამშრომელთა დათხოვნა, ასევე განხორციელდა დებულებაში არსებული ნორმების კორექტირებით.
- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 1–2 მაისის №234–№230 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის ბრძანების პროექტზე, რომლითაც დარეგულირდება სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის ცნობის გაცემის პროცესი იუსტიციის სახლის მეშვეობით.მიმდინარეობს "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთცნობისა და გადაცვლის შესახებ" ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტზე მუშაობა.
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის #2064 განკარგულება , საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, დროებით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების სააგენტოსა და სააგენტოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი - „მია ფორს“-ს, (საიდენტიფიკაციო ნომერი - 416293754) დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.სააგენტოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი (მისამართი: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ., საკადასტრო კოდით - 02.03.01.812, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, რომელიც შეადგენს 85 530 კვ.მ.-დანნაწილი - 6 396 (ექვსი ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტი) კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე.
- მიღებულ იქნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან ცალკეულ შემთხვევებში დროებით გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება;
- შემუშავდა და გადაგზავნილ იქნა შსსში „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლითაც ავტორიზებულ მესაკუთრეს დისტანციური სერვისის საშუალებით შეძელება ელექტრონული იარაღის დროებითი მოწმობის მიღება, რის საფუძველზე ავტორიზებული მესაკუთრე გადაიტანს მის

საკუთრებაში არსებული შენახვის უფლებით რეგისტრირებულ იარაღ შენახვის ადგილიდან ტირში ან სასროლეთში და შენახვის ადგილზე დააბრუნებს.

- დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილები, რომლის თანახმად, 2022 წლის 28 ნოემბრიდან დაემატა ქ. ზუგდიდში მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტები.
- შევიდა ცვლილებები „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში, რომლის თანახმად, განისაზღვრა სპორტულად მიჩნეული სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის წესი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილები, რომლის თანახმად, დადგინდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მოქმედების ახალი ვადა, კერძოდ, დაინტერესებული პირი განთავისუფლებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის ვალდებულებისაგან, თუ მის მიერ სააგენტოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ბოლო წარდგენიდან არ არის გასული 400 კალენდარული დღე (ნაცვლად 180 კალენდარული დღისა); საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მძღოლობის კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით, დადგინდა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხის გაცემის ან/და ქმედების ვალდებულება და შესაბამისი საკითხები (ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან). ამავე ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და C, C1, D, D1 კატეგორიები/ქვეკატეგორიებზე მართვის უფლების პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპი ამოქმედდება 2023 წლის 01 სექტემბრიდან.
- მიმდინარეობს იტალიასა და საქართველოს მთავრობებს შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და ცნობის შეთანხმების (ნოტის პროექტი) სამუშაო ვარიანტის მომზადება;
- მიმდინარეობს ესპანეთსა და საქართველოს მთავრობებს შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და ცნობის შეთანხმების (ნოტის პროექტი) სამუშაო ვარიანტის მომზადება;
- მიმდინარეობს მუშაობა არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და საქართველოს მთავრობებს შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და ცნობის შეთანხმების (ნოტის პროექტი) სამუშაო ვარიანტთან დაკავშირებით;
- შემუშავების პროცესშია ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც ეხება მომსახურების სააგენტოს მიერ ელექტრონული ცნობების გაცემის წესსა და პირობებს.

- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს საზღვარზე სატრანსპორტო საშუალებების ესპერტიზასთან დაკავშირებული სერვისების ინტეგრაცია შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით;
- განახლდა და მიმდინარეობს საბაჟო ინფორმაციის მიმოცვლის სერვისების ინტეგრაცია შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაზე ჩაწერის სერვისების ინტეგრაცია ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს სააგენტოს აპლიკაციაში მომხმარებლების რეგისტრაციის სერვისების ინტეგრაცია ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობით;

- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს სატრანსპორტო საშუალებების ცვლილების შეტყობინების ინფორმაციის მიწოდების სერვისის ინტეგრაცია თბილისის მერიასთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის სატრანსპორტო საშუალებების ინფორმაციის მიწოდების სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალურ სამსახურებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს ფინანსური ორგანიზაციებისთვის სატრანსპორტო საშუალებების ინფორმაციის მიწოდების სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს სატრანსორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშრებული სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ტექ ინსპექტირების ცენტრებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა პროგრამა და დაინერგა მოპედების ლეგალიზაციისთვის ნომრების მართვის ავტომატური და ხელით მართვადი მოდული;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს შსს მომსახურბის სააგენტოს All-In-One სისტემის https://365.sa.gov.ge-ს დანერგვა;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს განაცხადების მართვის მოდულის https://ams.sa.gov.ge-ზე ინტეგრაცია;
- დასრულდა პროგრამა და მიმდინარეობს საპატრულო ჯარიმების სერვისების მართვის მოდულის ინტეგრაცია https://365.sa.gov.ge-ზე;
- მიმდინარეობს ავტომობილის რეგისტრაციის პროგრამის განახლება და https://ams.sa.gov.ge-ზე ინტერგაცია;
- მიმდინარეობს შსს მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციებისა და https://my.sa.gov.ge პორტალის განახლება;
- დასრულდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე ჩაწერის სერვისი - დაინერგა როგორც მომსახურების სააგენტოს მობილურ აპლიკაციებსა და ვებ გვერდზე ასევე სხვადასხვა ბანკებში.
- განახლდა სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული განცხადებების სისტემა და ინტეგრირდა ams.sa.gov.ge სთან.
- განახლდა საზღვრის კვეთისას გაცემული ტრანზიტების მენეჯმენტთან დაკავშირებული ოპერაციები და ინტეგრირდა ams.sa.gov.ge ზე.
- ams.sa.gov.ge ზე დაემატა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოსახვა.
- მოხდა ჰიპერკონვერგენტული ინფრასტრუქრურის (Nutanix HCI) სერვერების პროგრამული განახლება, რამაც აამაღლა სისტემის წარმადობა და გააუმჯობესა უსაფრთხოება და მდგრადობა.
- განახლდა Veeam Backup and Replication სერვერი და მასზე მინიჭებული ლიცენზია.
- დაინერგა IaaC (Infrastructure as a Code) Terraform+Rancher საპილოტე ვერსია, რომელიც საშუალებას იძლევა ახალი სამუშაო კლასტერის წუთებში გამართვას.
- დაინერგა Citrix VDI (Virtual Desktop Infrastructure) ვირტუალური სამუშაო ადგილების ინფრასტრუქტურა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ცენტრებში მომუშავე პერსონალის წვდომის უსაფრთხოება და დაცვა მომსახურების სააგენტოს სერვისებზე წვდომიმას.
- პროგრამა 365-ს დაემატა სააგენტოს აპლიკაციის მომხმარებლების მართვის სისტემა.
- პროგრამა 365-ს დაემატა სააგენტოს ელექტრონული სერვისების კლიენტების მართვის სისტემა.

- პროგრამა 365-ს დაემატა პროგრამა 365-ის და ავტომობილების მართვის სისტემის მომხმარებლების მართვის მოდული.
- ავტომობილების მართვის სისტემის ავტომობილის რეგისტრაციის მოდულს დაემატა ტრანზიტული ნომრების მართვის სისტემა და მიმდინარეობს მისი ტესტირება და დანერგვა.
- ავტომობილების მართვის სისტემაში ინტეგრირდა სანომრე საოპერაციო მოდული და მიმდინარეობს მისი ტესტირება და დანერგვა.
- თბილისის სამმართველოში მოხდა ფიზიკური ქსელის განახლება, ასევე შეიცვალა ქსელური კომუტატორები და დაინერგა უსაფრთხოების დამატებითი დონე 802.1X პროტოკოლით.
- სააგენტოს მთავარ სასერვერო ინფრასტრუქტურაში არსებულ უსაფრთხოების მოწყობილობებზე(PaloAlto Firewalls) განახლდა ლიცენზიები.
- თბილისის, ბათუმის და ქუთაისის მერიის სამსახურებთან აეწყო VPN-ები მუნიციპალური სამსახურებისთვის სერვისის უსაფრთხო და დაცული კავშირისთვის.
- განახლდა სააგენტოში არსებული უკაბელო ქსელის(WIFI) კონტროლერების მხარდაჭერის და მომსახურები ლიცენზიები.
- ფინანსთა სამინიტროს სასერვეროში არსებული მომსახურების სააგენტოს ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა არსებული სტანდარტების შესაბამისად.
- განხორციელდა რეგისტრირებული ავტო-სატრანსპორტო საშუალებების მონაცემების მიგრაცია "ORACLE" მონაცემთა ბაზიდან "PostgreSQL" მონაცემთა ბაზაში.
- აიწყო ახალი მონაცემთა ბაზის სერვერი სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის.
- ავტომობილების მართვის სისტემაში დაინერგა ავტომობილის რეგისტრაციის მოდული.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- საქართველოს მასშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის დამატებით ქალაქის პირობებში ჩატარება;
- რეაბილიტირებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა;
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია

მაღალი ხარისხის მომსახურებით; სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მხოლოდ 5%-მდე არის მიღებული ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 10%-მდე გაზრდა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - *საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 580 107 მოქალაქეს და 36 919 ორგანიზაციას.*

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს მასშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის დამატებით ქალაქის პირობებში ჩატარება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით პრაქტიკული გამოცდა ხორციელდება მხოლოდ მოედნის პირობებში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - *2022 წელს განხორციელდა მართვის უფლების მისაღები გამოცდის დამატებით ქალაქის პირობებში ჩატარება.*

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რეაბილიტირებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურა გასაახლებელია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - *განხორციელდა ნაწილობრივ. ნაწილი განხორციელდება 2023 წელს.*

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სიტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიანი ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან

დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი **-** პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერა განახლებულია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -